N 1 03/01/2019

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 16

დ. ჩოხატაური **17 დეკემბერი, 2018 წელი**

სხდომის თავმჯდომარე-ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

დავით ბერძენიშვილი, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი,ერეკლე უღრელიძე, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, დავით გუდავაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, მაია გიორგაძე, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ირაკლი ახობაძე, გოჩა მეგრელიშვილი.

არ ესწრებოდა: ქეთევან სიხარულიძე, გივი თავაძე, ალექსანდრე შარაშიძე,იაშა შათირიშვილი, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, შალვა ჩანტლაძე, ლია ჩიგოგიძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე, მაია კუტუბიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ირაკლი კუჭავა- მუნიციპალიტეტის მერი.

მაია გოგოლაძე- საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

ნიკოლოზ დუმბაძე- სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი.

ბექა შენგელია- იურიდიული განყოფილების უფროსი.

მერაბ ბერძენიშვილი- ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

,,,,

სხდომას ესწრებოდა ჩოხატაურსა და ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში- **ანა თავართქილაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და მერის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N25 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

6. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019-2020 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> დავით გუდავაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და მერის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N25 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

6. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019-2020 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

I საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

აზრი გამოთქვა: ირაკლი ახობაძემ და აღნიშნა, რომ ქონების გადასახადიდან შემოვიდა 573,0 ათასი ლარი თანხა. ეს იყო დაუგეგმავი თანხა. მივესალმები, თანხის დაგეგმილს ზევით შემოსვლას, რომლებიც წარიმართება ერთჯერად პროგრამებში ან სიკეთის კეთებაში.

რაც შეეხება შემოსავლების ნაწილს, ველოდებოდი კორექტირებას სხვა შემოსავლებში, საკუთარი შემოსულობებიდან. მაგალითად, წყლის რესურსის შემოსავლებიდან 9 თვის ანგარიშში ვნახეთ, რომ შემოსულია 590, 0 ათასი ლარი, ხოლო გეგმა გვაქვს 1 800,0 ათასი ლარი. ე. ი. სამ თვეში მოსაკრებელი 200,0 ათასი ლარი შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ, გამოდის რა? მილიონი ლარი დეფიციტი გვაქვს წყლის რესურსების მოსაკრებელიდან. ანალოგიურადაა დასუფთავების მოსაკრებელიც. ჩემი ზეპირი გათვლით, 200,0 ათასი ლარი შეიძლება დაგვაკლდეს შემოსავლებში, რაც ვალის აკიდებაა 2019 წლის ბიუჯეტისთვის.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, არაერთხელ მითქვამს, რომ თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები დარღვეულია წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით.

ხელთ მაქვს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს სხდომის ოქმი № 10, სადაც წერია, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)ი.პ კომუნალურ სამსახურს ,,სხივს“ აქვს ვალდებულება კურორტ ბახმაროში და დაბის ტერიტორიაზე ამოიღოს დასუფთავების მოსაკრებელი როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისაგან და ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ამ მიმართულებით თანხები შესაბამისად არ არის ასახული, ამიტომ, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს შეუმცირდეს სუბსიდია 50, 0 ათასი ლარით და პროექტით გათვალისწინებული 80,0 ათასი ლარის ნაცვლად გაეზარდოს 30,0 ათასი ლარით, ხოლო ა(ა)ი.პ. კულტურის ცენტრს, რომელსაც შეუძლია ზაფხულის პერიოდში ჩატარებული კულტურული ღონისძიებების შედეგად გაზარდოს შემოსავლები, შეუმცირდეს სუბსიდია 50,0 ათასი ლარით და პროექტით გათვალისწინებული 100,0 ათასი ლარის ნაცვლად გაეზარდოს 50,0 ათასი ლარით.

მაინტერესებს, შემოვიდა თუ არა დასუფთავების მოსაკრებელი. როგორც ვიცი არა. ე.ი. გამოდის, რომ საკრებულოს ეს გადაწყვეტილება დარღვეულია.

ზაალ მამალაძე- მთავრობის მიერ მიღებული 2018 წლის 17 აგვისტოს, 24 ოქტომბრის, 13 დეკემბრის განკარგულებების საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილი იქნა სხდომაზე, ამ ცვლილებების საფუძველზე ეყაროს კენჭი წარმოდგენილ პროექტს

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 1

(ი. ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

II საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ, დავით ტყეშელიაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

III საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და მერის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N25 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და მერის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N25 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ, ირაკლი ახობაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და მერის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის N25 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

IV საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

აზრი გამოთქვა: ირაკლი ახობაძემ და აღნიშნა, რომ განმარტებითი ბარათის საფუძველზე 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, 2019 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 1 მილიონ 561, 0 ათასი ლარით. ამ გაზრდის საფუძველზე, დამატებით, რა სიკეთეს ახორციელებს მუნიციპალიტეტი კონკრეტულად?

მაია გოგოლაძე- გაიზარდა არაფინანსური აქტივების მუხლი. ასევე, გვაქვს დამატებული ახალი პროგრამები, რომელიც გასულ წელს არ გვქონდა. გვაქვს თანხის მატება სოციალური კუთხით. გაზრდილია ასევე სუბსიდირება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

V საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ, დავით ტყეშელიაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

VI საკითხი: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019-2020 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მოისმინეს:

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019-2020 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

თანამომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u>

1. გოჩა ჯიქიამ აღნიშნა, რომ მივესალმები სოფლებში მოედნების კეთებას, მაგრამ ცენტრალურ სტადიონზეც ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. ავარიულ მდგომარეობაშია საჭიდაო დარბაზიც, რომელიც საჭიროებს ყურადღებას.

ირაკლი კუჭავა- ვფიქრობ, ამ წელს ვერ მოხერხდება ამ მოედნის მოწყობა. ახლა გადავდიცვართ მუსიკალურისკოლის მოწყობაზე და შემდეგ ეტაპზე იქნება აუცილებლად სასპორტო სკოლის კეთილმოწყობა.

2. ირაკლი ახობაძე- მივესალმები ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რაც მუნიციპალიტეტისთვის მართლაც მნიშვნელოვანია. აქვე დავსძენ, რომ რამდენიმე სხდომის წინ, გავაკეთე განცხადება, იმის თაობაზე, რომ მიმდინარეობს შესყიდვა სოფლების: იანეულისა და საჭამიასერის საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო

სამუშაოებზე, რომელიც ხარჯთაღრიცხვით იანეულის საბავშვო ბაღისათვის შეადგენს 10,0 ათას ლარს, ხოლო საჭამიასერისათვის 15,0 ათას ლარს. 2019 წელში კი ამ სოფლებში გათვალისწინებულია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა/ მაინტერესებს, რა ხდება ამასთან დაკავშირებით?

ირაკლი კუჭავა- ეს რეაბილიტაცია გამოწვეული იქნა იმიტომ, რომ არ მომხდარიყო დაჯარიმება მუნიციპალიტეტის. რასაც თქვენ ამბობთ, ლოგიკა არის მაგაშიც, მაგრამ გეტყვით, რომ სოფელ საჭამიასერში, მინიმუმ ერთი წელი უნდა იფუნქციონიროს ამ ბაღმა. რაც შეეხება სოფელ იანეულის საბავშვო ბაღს, გეტყვით, რომ ახალი ბაღის მშენებლობა მომავალ 2019 წელს არ იგეგმება.

3. უშანგი ართმელაძე- მაინტერესებს, სოფელ ზოტის გზის სამუშაოებთან დაკავშირებით რა იგეგმება?

ირაკლი კუჭავა- ზოტის გზის პროექტი არსებობს, დაახლოებით 1 მილიონამდე ჯდება. გაზაფხულზე დაიწყება ამ კუთხით მუშაობა, მთავარია, რომ პროექტი მზადაა.

4. ზვიადი მამალაძე- ბიუჯეტთან დაკავშირებით მაინტერესებს თქვენი მოსაზრება შემდეგზე: იზიარებთ თუ არა თქვენ საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის პოზიციას, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ცვლილება აღარ იქნება, გარდა ორი შემთხვევისა: ინფრასტრუქტურული პროექტებისა და საბავშვო ბაღების გაერთიანებაში თანხის დამატების შემთხვევისა და ასევე, მეორე შეკითხვა: მუნიციპალიტეტში მომხდარ სტიქიას უკავშირდება, 250, 0 ათასი ლარი დაიხარჯა სახურავების შესაძენად, შეიძლებოდა თუ არა უფრო მეტი თანხა გამოყოფილიყო და შეიძლებოდა თუ არა შედარებით უფრო ხარისხიანი თუნუქი შეგვეძინა როგორც ზომით, ასევე სისქითაც?

ირაკლი კუჭავა- რაც შეეხება ბიუჯეტზე შეკითხვას- ვიზიარებ ამ განწყობას, თუმცა, ბიუჯეტი ცოცხალი მექანიზია და წინასწარ დაზუსტებით ვერაფერს ვერ გეტყვით.

რაც შეეხება სტიქიის თემას, ეს იყო ის შემთხვევა, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტრომ იმოქმედა ისე, როგორც უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ ფორსმაჟორულ სიტუაციაში. ჩვენ, რამდენიმე წელია უკვე ვარიგებთ ერთი და იგივე ხარისხის თუნუქს 0,45- იანს და ამიტომ წელს სხვა თუნუქის დარიგება ჩვენს მოსახლეობასთან, გამოიწვევდა უთანხმოებას. სხვა დანარჩენ დეტალებთან დაკავშირებით, დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდით მუნიციპალური შესყიდვების სამსახური.

5. ვლადიმერ სიხარულიძე- სოფელ შუაამაღლებაში გაკეთდა საყრდენი კედლის პროექტი, რომელმაც შეადგინა 50, 0 ათასი ლარი. პროექტმა გაიარა ექსპერტიზა და შეთანხმება იყო, რომ ეს პროექტი ტენდერზე უნდა დადებულიყო სექტემბრის თვეში, თუმცა არ მოხდა ტენდერზე დადება. მაინტერესებს, საპროექტომ ისევ თავიდან უნდა გააკეთოს ეს პროექტი თუ როგორ მოხდება ამ პრობლემის მოგვარება?

რაც შეეხება წარმოდგენილ დოკუმენტს, აქ, შეთანხმების შედეგად, ფრჩხილებში უნდა ჩაიწეროს რომელ სოფელში რა გაკეთდება კონკრეტულად, რომ ამ განკარგულების მიღების შემდეგ, რამე არ შეიცვალოს და დაგეგმილი პროექტის ნაცვლად სხვა არ გაკეთდეს, რაც წინა წლებში არაერთხელ მომხდარა.

განკარგულების პროექტში საუბარია 3 მილიონ 700, 0 ათასი ლარის გამოყოფაზე. მაინტერესებს, თუ არ დარჩა ეს თანხა რაც წარმოდგენილი გაქვთ, ამ შემთხვევაში შევეხებით თუ არა იმ პროექტებს, რაც იმ მილიონ ნახევარშია გათვლილი?

ირაკლი კუჭავა- რაც შეეხება საყრდენ კედელს, თუ პროექტი არსებობს, თუ ექსპერტიზაც გავლილი აქვს, ამის გაკეთება პრობლემას არ წარმოადგენს.

გეტყვით, რომ ჩვენი ამოსავალი წერტილი არის მეტი და მეტი დაპროექტება, იმ მილიონ ნახევარ ლარზე დევს ის პროექტები, რაც მე ჩამოგითვალეთ და რაც წარმოდგენილია ცხრილში. თქვენ შეთანხმდით პროექტებზე და ამის შემდეგ დავაპროექტოდ ერთად.

ზაალ მამალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ცხრილში შეთანხმების საფუძველზე იქნას ჩამოწერილი კონკრეტულად რომელ სოფელში რა გაკეთდება და ისე ვუყაროთ კენჭი წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019-2020 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა